გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს თავისუფლ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. Тифлис, ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ ,,Іосифу Имедашвил

1918 წ. № 10 კვირა, ივლისის 7 — ფასი 1 მან. — წელიწადი მეექვსე გამოცემის

კირიონ მეორე

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი (1855-1918)

(იხ. ამავე ნომერში 4 გვ.)

ქვეყნის პატრონი—ნოე ჟორდანია

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო, ტყუილად არ უთქვამს ჩვენს ხალხს და აკი ამიტომაც იყო, რომ ჩვენს ეკლესია-ტაძარს სამშობლო საქართველოს მრავალჯურის ეშმაკი ეპატრონებოდა,

რევოლიუციამდე რუსის მთავრობა თვისი ათას გვარი გათახსირებული მოხელეებით, რევოლიუციის შემდეგ — სხვა და სხვა ვითომდა სოციალისტები, მგლები ცხვრის ტყავში გახვეულნი...

და ამ ეშმაკთა პატრონობას, ნამდვილად ბატონობას იცით რა მოჰყვა?— მოჰყვა ისა, რომ, ხალხურად რომ ვსთქვათ, ძალლი პატრონს ველარ იცნობს: ერთი ალთას, მეორე ბალთას გავიწევით, ძმა ძმას ალარ ინდობს, ერთი კუთხე მეორე კუთხეს, არა მკითხე გაძვერები ნამდვილ მოქალაქეთ სისხლს უშრობენ, აგერ იგერ სოფელში სხვა და სხვა პარტიულ სახელებით, უფრო ბოლშევიკურ სახელწოდებით ქვეყნის ნაძირალებმა თავი წამოჰყვეს და ბრალიან-უბრალოს მზეს უბნელებენ, სცარცვავ—გლეჯენ, გარეშე შინაურს ითხოვს,— აზამბყრელი თათარი გოჭის თავს მედავებაო, ხომ გაგიგონიათ..

ერთი სიტყვით ის მოხდა, რასაც უცხო ენით ანარქია ეწოდება...

რათ იყო ასე? იმიტომ რომ თუმცა მრავალი ჭირისუფალი გვყავდა, არც ერთი ნამდვილი პატრონი: ერთ კუთხეს მეორისა არ ესმოდა, ქვეყნის განაპირა ნაწილს დედა ქალაქისა. ხელები, ფეხები, თვალები, პირი და ყურები რომ ერთმანეთს აუჯანყდენ. განა ადამიანის სხეული იცოცხლებს?! ცხადია ვერა-ჩვენში კი გურიის ჯომიტეტი ცალკე გამოცხვა, ლეჩხუმის თავისთვის ყოყლოჩინობს, სომხით საქართველო ბუზღუნობს და ყოველი „ვაჭარი" თავისებურად სწონის და ზომავს, ყოველი სოფელი თავისებურ გამგეობს... ვითომ მთავრობა გვყავდა, ერისაგან რჩეული, და მას კი წინ ელობებოდენ. ანუ მის საქმიანობას წელშივე აჩლუნგებდენ სხვა და სხვა ყაიდის მმართველი წრენი... ასეთ გაწამაწიას რა უნდა მოჰყოლოდა? — ჩვენი უეჭველი დაღუპვა მტერთა სასიხარულოდ და აკი ყოველ მხრივ ცეცხლი წაგვიკიდეს, შინ თუ გარეთ...

ასეთი სავალალო მდგომარეობა ქვეყნისა ჩვენი ერის რჩეულმა შვილებმა ასწონ-დასწონეს მოსალოდნელი უბედურება გაითვალისწინეს და ახალი საქართველოს სათავეში, ჩვენი ქვეყნის პატრონად ჩააყენეს ნოე-ჟორდანია.

ვინ არის ნოე ჟორდანია?

ვინც ანი და ბანი იცის, ვისაც საქართველოს დემოკრატიის ხსენება გაუგია, იმას ისიც ეცოდინება, რომ ეს ის ნოე ჟორდანიაა, რომელმაც მთელი თვისი სიცოცხლე ქართველი ხალხის დემოკრატიის გამოფხიზლებას შესწირა, ახალი დემოკრატიული საქართველო შეჰქმნა... ეს ის ნოე ჟორდანიაა, რომელმაც ძველი თვითმპყრობელობის დასამხობად თითქმის მთელი **30** წელიწადი იბრძოლა და თუმცა მრავალი სასჯელი მიაყენეს იგი მაინც არ შეუდრკა, ხალხის სასიკეთოდ ალმართული დროშა ერთხელაც არის ძირს არ დაუშვა და ბოლოს მანვე გამოაცხადა საქართველოს თავისუფლება — საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ამიერიდან სრულიად საქართველომ თვისი ბედის საჭე ნოე ჟორდანიას მიანდო... მაშ დაე, ქართველმა ხალხმა და, საქართველოს ყოველმა ერთგულმა მოქალაქემ მხარი გაუმაგროს ნოე ჟორდანიას მთავრობას და სწამდეს, რომ ჩვენი ჭალარა მოსილი ბელადი ხრამში არ გადაჩეხავს.. მისი დანიშნაჩვენი ჭვეყნის ახალი ხანის დასაწყისია.

იოსებ იმედაშვილი

გერმანია და საქართველო

გერმანიის შემოსვლას ჩვენში თითქმის დუმილით შეხვდენ. ეს დუმილი არ შეესაბამება ქართველთა ფსიხიას. ჩვენი ბუნება როგორც ყოველთვის, დღესაც ამ გარემოებას მეტის ყურადღებით და ზეიმით აღნიშნავდა. ასეთია ჩვენი სტუმარ-მოყვარეობის ზნეობრივი თანდაყოლილი კანონი. მაგრამ დღეს რომ ჩვენ გერმანელებს შესაფერისად ვერ შევხვდით და ამ გარემოებას ზოგი ჩვენი მტრები თავიანთ სასარგებლოთ გამოიყენებენ, აქ ეჭვი არ არის. ამის ნიშნები კიდევაც სჩანს, რის გამო გერმანიის წარმომადგენელი ჩვენს მთავრობას შეეკითხა კიდეც, ვითომც ქართველებს მათი მოსვლა არ გვეპიტნავებოდეს.

ჩვენი სამშობლო რომ სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებისაგან არ შესდგებოდეს და მათი განწყობილება ანტისახემწიფოებრივი არ იყვეს ჩვენი რესპუბლიკის მიმართ, მაშინ გერმანიის შეკითხვა ჩვენ ეჭვსაც-კი აღგვიძრავდა და რუსის ტოტლებენს ძალაუნებურათ მოგვაგონებდა. თუმც გერმანიის რაინდ ერს და რუსეთის ერს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ ფსიხოლოგიის კანონის გავლენას, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვერ ავიცდენდით. დღეს-კა ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გერმანელთა შეკითხვა იმ კაბინეთური ატმოსფერის გავლენის გამოა, რომელსაც ჩვენი მტრები ქმნიან ფარულად, და რომელსაც გერმანელები, გვწამს ადრე მიუხვდებიან. ქართველი ერი დღეს საკმაოდ მომზადებული და კულტურული მოაზროვნე ერია. მას კარგად ესმის, თუ ვის რა სარგებლობის ან ზარალის მოტანა შეუძლიან. გერმანელთა ღირსებანი, მისი კულტურა და ყველა ეროვნული პრობლემანი ჩვენთვის სასიხარულო და მისაბაძი იქნებიან. თვით ჩვენი ერთგულება, რომელიც გამოვიჩინეთ რუსეთის და მის დაბალ კულტურისადმი, ამის დამამტკიცებელ ფაქტად ჩაითვლება. ჩვენ მოკეთისადმი კეთილი განწყობილება მუდამ რაინდულად, პატიოსნურად შეგვისრულებია და ღალატს ვერავინ დაგვწამებს ვინც ჩვენი ახლოჩელი და წარსული ისტორია იცის, ამაში დაგვეთანხმება და ეჭვს ვერ შეიტანს, მაშასადამე, ჩვენი სიტყვა მუდამ ატარებს თვის ღირსებას თუ დაუძლეველმა ძალამ ან გაუგებრობამ არ დაბადა მის შინაარსის ცვლილება. არა ერთი და ორი ქართველისაგან გამიგონია დღეს სინანული წარსული ბრძოლების შესახებ, როდესაც ჩვენებმა ქუჩებში გერმანელთა ჯარები გავლილი დაინახეს—თურმე ესენი ჩვენი ძმები ყოფილან და ჩვენ-კი ფრონტზე თავგამოდებით ვებრძოდითო. აი გულწრფელი ამოძახილი, ვიმეორებ ჩემის ყურით გაგონილი. ასევე ჰგრძნობს და ფიქრობს დღეს ყოველი ჩვენთაგანი და თუ ზნეობა არ გვეძლალვის, ეს იმიტომ რომ ის მოვალეობა იყო მიტანილი სამშობლოს სამსხვერპლოზედ. თუ არსებობს რამე გამთიშველი ძალა გერმანოფილობის წინააღმდეგ, ეს არის უმცირესობის გადაგვარებისგნით თავდაცვითი გრძნობა, რომლის მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, მინამ რუსეთის ბატონობის დროს. თუ რუსეთის მართმადიდებლობა ჩვენს გათქვეფას ადვილად ახერხებდა, კათოლიციზმისთვის ეს მოუხერხებელია, ვინაიდან სხვა ამას ხელს უშლის, მაშასადამე, ამ მხრივ გადაგვარება უზრუნველყოფილია. თვით გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენსა და გერმანიის შორის თავდებია იმისი, რომ ჩვენი გათქვეფა ტეხნიკურად აუვილი მოსახერხებელი არ არის, მინამ ეს იყო რუსეთის ასეთ მდებარეობის გამო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გერმანიის რაინდი ერი, როგორც სიტყვის ბატონი და რაციონალური მოაზროვნე, ვერ დაინტერესდება ჩვენი მოსპობით, მაშინ თავისუფლების დაცვაზედ ფიქრი მეტად მიგვაჩნია. მაშ ეს თუ ასეა რათ არ ვიჩენთ ჩვენ მათდამი ენტუზიაზმს? ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ჩვენი მდგომარეობა დღეს გამოურკვეველია და რას მოგვიტანს ომის ღმერთი, არავინ უწყის, ჩვენ რომ ჩვენი გრძნობები დღეს ამ მოვლენის გავლენიდან გავანთავისუფლოთ და ენტუზიაზმი ხელოვნურად შევქმნათ ეს იქნებოდა ხელოვნური სიყალბე და სიყალბე-კი ჩვენ ერს არ სჩვევია. მართალია ჩვენ გვწამს დმ დიდი ხანია გვწამდა გერმანიის გამარჯვება-ამას ჩვენს გაზეთებში მათ მოსვლამდისაც-კი აღვნიშნავდით, მაგრამ როგორ გადაურჩება ჩვენი არსებობა ამ მსოფლიო ცეცხლს, ეს-კი ღრმად გვაფიქრებს და ჩვენი ხვედრი ამ ცეცხლზე დამოკიდებული ნათლად ვერ წარმოგვიდგენია. ამ გვარ ბურუსით გარემოცულნი მაინც მომავალს იმედის სხივით უყურებთ. შეიძლება კონსტანტინოპოლის კონფერენციის გზით მონაბერი ატმოსფერა სასიამოვნო და რამოდენადმე ამ ბურუსის გამფანტველი გამოდგეს და მაშინ ჩვენი გრძნობებიც, როგორც ბუნებრივი, ყველასთვის უფრო ნათელი გახდება და ჩვენი ბუნებაც საეჭვო აღარავისთვის იქნება.

მუშა მიხეილ დევაძე

* *
*

შენში ვხედავდი ზეციურსა უცხო მშვენებას,
გიშრის თვალებში ამომავალ მზის ბრწყინვალებას,
ლამაზი ტანი მაგონებდა თლილ ქანდაკებებს,
ვით მორცხვი ია შენა ჰგავდი ციურ ჩვენებას,

მაგრამ მოვსტყუვდი ზეციურსა უცხო მშვენებას,
ფერი ეცვალა, დაიბურა, ფარდა მიფარდა,
და დაემონა სილამაზე, მიწიერ გრძნობას
სხივი მზეს მოსწყდა და ბილილა ბაღში ჩამქკნარდა!

ზაირა

მარტყოფის ტრაგედია

კირიონ კათოლიკოს-პატრიარქი

1918 წ. თიბათვის 26 მარტყოფის მონასტერში საზარელი საიდუმლო ამბავი მოხდა.

წინა დღით დასასვენებლად აბრძანებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი ამ დღით თვის საწოლში რევოლვერის ტყვიით გულგანგმირული იხილეს.

ერთნი ამბობენ: ვეღარ აიტანა ზოგიერთ სამღვდელო პირთა გაიძვერობა-ქვებუდანობა და თვითონ მოიკლა თავიო, მეორენი—სხვამ მოკლაო (ზოგნი ფლანგია ბერებს აბრალებენ, რომელთაც ანგარიში მოსთხოვა, ზოგნი ჩვენი ერის მოძულეებს, ზოგნი თვით კირიონის მტერ-მოყვარეთ).

ვის ხელსაც უნდა ჩაედინა ეს საზარელი საქმე, მომხდარი ამბავი მაინც ჩვენი ერის ტრაგედიას მოწმობს,—ჩვენი სულიერი და ხორციელი ყოფა-ცხოვრება განსაცდელშია ჩაჭრა ლამპარი, რომელიც ჯერ კიდევ რუსის ტყვეობის დროს, მრავალ გზის ნაწამები, საქართველოს უნათებდა და მონობაში მყოფ ქართველ ერს აღთქმის ქვეყნისკენ მოუწოდებდა; ჩაჭრა ლამპარი რომლის მსგავსი იშვიათად აღინთება საუკუნედან საუკუნეში! ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი-მღვდმლ-მთავარი, არამედ უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი. ამას მოწმობს მისი შრომანი და მოწამეობრივი ცხოვრება-მოღვაწეობა.

ფრიად სამწუხაროა ასეთი დანაკლისი: თუ გარეშე მტერთ მოუსპეს მას სიცოცხლე, ვაი მათ, რამეთუ მსხვერპლი ესე უნაყოფოდ არ ჩაივლის მტერთავე საგმირავად, ხოლო თუ ვინმე ჩვენიანმა შეიმაღლა თვისი ბინძური ხელი, დიდათ ნაამაგდარ ადამიანზე, ვაე ჩვენ სულიერ დაცემას!..

ერთი-კი ცხადია: საქართველო მხოლოდ დიდი სისხლის შეწირვით აღსდგებოდა ხოლმე წარსულში და დღესაც ასეა: დიმიტრი ყიფიანის თავის გაჩეხვას მოჰყვა ქართველთა თვით შეგნება, ილია ჭავჭავაძის შუბლის განგმირვას-საქართველოს დაქსაქსულ მამულიშვილურ აზროვნების განმტკიცება, ხოლო სულიერი მამის კირიონის იდუმალი ტყვიით განგმირვას უნდა მოჰყვეს ჩვენი ერის სულიერად განსპეტაკება და კნეოგრივად ამაღლება. თუ ეს მოხდა,—და მწამს რო მოხდება,—მაშინ არც კირიონის უდროოდ დაკარგვა დაგვცემს...

ხსოვნა მისი მარადის ნეტარი იქნება და ქართველთა მეხსიერებაში იშუქებს!..

იოსებ იმედაშვილი

* * *

მსურდა გულში ჩავკროდი სამშობლოს ბაღნარმდელოს,
თავისუფალ ქვეყანას—ჩემ სატრფო საქართველოს;
მტერთა თავზარ დამცემსა, ძველთაგან სასახელოს,
საამაყოს, საგმირო, წმიდანთა სამლოცველოს!

მაგრამ დღეს დაქსაქსულსა მტისგან ალყა-შემორტყმულს,
შინ-ურ-გარეულთგან, ყველ-სგან ყბათ აღებ-ცს
საუკუნის ტყვეობით თავ დახრილს, დადუმებულს,
დღეს ჯაჭვ ახსნილს, მაგრამ თვით მკვიდრ შვილთაგან წამებულს!—
ძმა ძმაზედა ხმალს იღებს, ეს რა მოსჩვენებია?!.
თუ კვლავ გნახო სგავსი რამ დღეც ნუ გამთენებია,—
მოძმის სიკვდილით უნდა მოიგერონ მტრებია,
ბამშობლოს მოამაგეს სხა ანკი რა რგებია...

ვაი, მას ვინც თავის თავს თვით ვერ ებატონება,
ბავშურ ქინით დაქსაქსულს სხვა დაეპატარონება. .

დარო ახმლედიანის

გიორგი მიხეილისძე შერვაშიძე

სოხუმში 1918 წ თებერვლის 19 გარდაიცვალა მაბხაზეთის უკანასკნელი მთავარის მიხეილ შერვაშის შვილი გიორგი. გიორგი შერვაშიძე ჩვენში ცნობილი იყო, როგორც ლიტერატორი, ნიჭიერი მგოსანი და ორიგინალურ დრამატიულ ნაწარმოებთა მწერალი: მას ეკუთვნის „მომაკვდავი სურათები“ „გიორგი მესამე ისტორიული დრამა და სხვა ბევრი, რომელიც ჯერ დაბეჭდილი არ არის. ამ შესამჩნევი პიროვნების გასაცნობათ საჭიროდ ვსთვლით მოვიყვანოთ ნიკო თავდგირიძის სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო მოქვში გიორგის დასაფლავების დღეს 25 ს თებერვალს.

ნიკო თავდგირიძის სიტყვა
გიორგი შარვამიძის დაკრძალვაზე

„საუბედურო ჩვენდა ამ ბოლო დროს გავრცელებული ცალ-მხრივი შეხედულობის გამო ადამიანის დანიშნულებაზე, პირადობას ჯეროვანი ყურადღება არ

აქვს მიქცეული, მაშინ, როდესაც მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში, განსაკუთრებით კი ჩვენისთანა პატარა ერების ცხოვრებაში კერძო პიროვნების ღირსება-ძლიერებას დიდი და ხშირად ბევრის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შენს ბუნებრივ მომხიბლავ სანდომიანობას, გარეგნულ სილაზათე—შნოს, პლასტიურ მიხვრა-მოხვრას რომ გვერდი აუხვიოთ, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ ის ამტკიცებს იმ საზოგადოების ხანგრძლივ სულიერ ვარჯიშობა—კულტურას, რომელსაც შენ ეკუთვნოდი, შენ შესანიშნავი იყავი ჩვენს ცხოვრებაშ ი, როგორც სულიერად ძლიერი, ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ — მისწრაფებათა მაღლა მდგომი პიროვნება, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ შენ ერთად ერთი გამონაკლისი, მაგალითი იყავი მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმანც ქედი არ მოიხარე, მცირეოდენადაცა არ დაიმცირე ღირსება შენი ერის მჩაგვრელ, შენს ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მართველობის წინაშე; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა შენი დროის და შენი წრის ოჯახობა დიდ ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც შენ ზიზღით უარ-ჰყოფდი. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლით და ტანჯვა—წვალებით მისწრაფოდენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრნი სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ, შენ კი ყმაწვილობიდან გეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხის უმრავლესობის შეგნებაში ხელმწიფის ყურადღება—წყალობა რაღაც მუდმივ სანატრელ საგანს შეადგენდა, შენთვის კი განსაკუთრებული შენი თვისებების მეოხებით ეს ბედი ადვილად მისაწვდომი იყო, მაგრამ შენ იმ დროს ჩვენი ხალხისათვის გაუგებარი, დღეს კი ყველასათვის ცხადი მიზეზის გამო მედიდურად და ამპარტავანად უარსჰყობდი ყველა იმ სიკეთეს, რომლის მოპოვებისათვიის სხვები მსხვერპლად სწირავდენ თავიანთ, ადამიანურ ღირსებას.

იმ დროს ბევრი გაგინებდა, შენს ნაკლულევანებლად, დანაშაულებად სთვლიდა, ამ მოვლენას: დახეთ გიორგი შვრვაშიძეს შეუძლია ხელმწიფესთან დაახლოვებული კაცი იყოს და ის კი ისე აწყობს საქმეს, რომ დაშორდეს მასო; ბევრს დასაძრახ საქციელად მიაჩნდა ჩვენში შენგან წყრომით, ფლიგელ-ადიუტანტის თანამდებობაზედ უარის თქმა: როცა ხელმწიფე ალექსანდრე მესამე ჩვენში ჩამოსვლის დროს სხვა რევოლიუციონერებთან ერთად ქუთაისიდგან გაგგზავნეს, როგორც ხელმწიფისათვის არა საიმედო პირი,

შენ ირონიულად მისწერე ხელმწიფეს: რაკი თქვენი მთაერობა იმდენად არ მენდობა, რომ თქვენი ჩამოსვლის დროს ჩემი სამშობლოში ყოფნაც-კი სასაშიროდ მიაჩნია, გთხოვთ ეს სასახლის წოდებაც ფლიგელ-ადიუტანტობაც ჩამომართვათო.

ეხლა ვიკითხოთ: ბევრი ეხლანდელი რევოლიუციონერი გაბედავდა იმ დროს ასეთი აზრის გამოთქმას? დიდათ საეჭვოა ისეც, რომ რამოდენიმე კაციც გამოჩენილიყო ისეთი, რომელიც უარს იტყოდა ყველა იმ უპირატესობაზე, რომლის მიღება, შენ შეგეძლო და არ ისურვე. ამ ჟამად-კი რევოლიუციონერობა იგივე ტახტია, რომლის წინაშე ბრბო და სულით უძლური ქედს იხრის და რომლისაგანაც უმრავლესობა გამოელის ყოველივე ამ ქვეყნიურ სიკეთეს. შენ სულით რანდი იყავი და შენ ბუნებას არ შეეძლო ორპირობა, რა მნიშვნელობა ჰქონდა შენს ასეთს გაბედულობას ჩვენს ცხოვრებაში? მარტო ქადაგებით კი-არ ვრჯელდეაა ხალხში ესა თუ ის აზრი მიმართულება—არამედ მაგალითიდ, შენ პირველმა შეარყიე, შეასუსტე ჩვენს წოდებაში ტახტის სიყვარული და ერთგულება, შენი მაგალითიდ სარგებლობდა, იწრთვნებოდა მთელი რიგი ახალგაზრდობის, რომელიც სილით ნამდვილი რევოლიუციონერები ხდებოდნენ:

მეორე დიდებული მნიშვნელობა შენი ჩვენი ცხოვრებისათვის ის იყო, რომ შენ პირველმა ასსიე, აღამაღლე მაღალ წოდებაში შეგნება და პატივისცემა საზოგადოთ კავკასიელ ერებისადმი: ამ ოცდაათი წლის წინედ არა თუ უცხო ლები, ჩვენებური განათლებული ნაწილიც საზოგადოების რაღაც სიბრალულის თვალით უყურებენ, მაღლიდან ოასცქეროდენ ჩვენს ერს, აისი მნიშვნელობის შესახებ ბაასიც სცხვენოდათ, ჩვენში განბივრებული მაღალი, საშუალო და წვრილი მოხელეებიც ხომ რაღაც დამცინავი კილოთი ლაპარაკობდენ „ტუზემცებზე'' მაგრამ შენ პირველმა აღამაღლე მრისხანედ ხმა შენი დაჩაგრული ერის ღირსების დასაცველად: ბევრმა წარჩინებულმა მოხელემ და დიდებულმა პირმა იგემეს შენი სასტიკი წყრომა და ხშირად ფიზიკური ძალაც ჩვენი ხალხის და ეროვნების უდიერათ მოხსენებისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვისმეს უპატივცემულოდ ეხსენებიოს შენთან შენი ერი და ამას დიდი ხნით სანანებლად არ დარჩენოდეს ის; შენმა ასეთმა კეთილშობილურმა ხასიათმა ის სარგებლობა მოგვიტანს. რომ ბევრი ჩვენი ხალხის მოძალეც-კი შეეჩვია მოკრძალებით ლაპარაკს ჩვენში. (დასასრული იქნება)

ნინო ჩხეიძე

მისი გასტროლების გამო თბილისში

გ ლ ე ხ ე ბ ს

გლეხი გასწორდა წელშია,
აღარ ამძიმებს უღელი;
აღარც ჯ ლათი, მესისხლე,
მტარვალი დაუნდობელი;
არც მემამულე ბატონი,
ჩარჩი, წურბელა — მწოველი,
თავისუფალებას მოესწრო,
გახდა ბედ სა ქსოველი! ..
მაგრამ, ვაი, რომ ჯერ ყველას
ვერ შეუგვნია უფლება.
მტერსა მოყვარედ ისევ სთვლის,
მოყვარეს მტრათა უხდება;
და მით ბორკილებს კვლავ იჭედს,
გახრწნის წუმპეში იფლობა.
ფრთხილათ, გლეხებო, თორემა
წაგვივა თავისუფლება!..

მუშა მიხ. დევაძე

მწვერვალები

რეერთი ხანია ვფიქრობ გავიგო: რად სტირიან ყვავილები ღამ-ღამით, რას ასკრემლებიათ თვალები, რასა სჩვიან?.. ან რას გაჰყურებენ აღმოსავლის კარს?.. იმედით რას გაიყურებიან წყვდიადის ზოდებით ამოყორილს აღმოსავლისკენ?..

ასევე მსურს გავიგო: რისთვისა ჰთრთის ჩემი სნეული გული დილის მომლოდნე?.. რატომა სთხზავს იგი ერთად-ერთ ზღაპარს სულის მარადიულ ტრფიალებისას? რა აქვს სატრფიალო?

აი მე დავკარგე მეგობარი... მე აღარა მჰყავს მეგობარი, მაგრამ სადღაც უკრავს ჭიანური და მე გული სიამით მევსება.:. მე ცრემლების მეტი აღარა შემრჩენია რა, მაგრამ გარედ ყვავილები იშლებიან და მე მიხარიან...

მე იმედი უფსკრულში ჩავმარხე... უფსკრულში დავწინწალებ ცრემლ ამომშრალი, მაგრამ იქ-მაღლა მოსჩანს წერწეტი ცად მიბჯენილი მთა და მე მიხარიან... მიხარიან იმიტომ, რომ მიუხედავად ჩემი დაღუპვისა, უფსკრულში დასამარებისა—მაინც არსებობენ მწვერვალები. მართალია მიუწვდენელი, მაგრამ მაინც დამატყვევებელი მშვენებით მოსილი მწვერვალები...

დ. თურდოსპირელი

ლუდვილნი.

ადამიანს თვალი ძნელად, თუ უკეთეს საინახ-ბას ნახავდა გაზაფხულის საამური დილა, ამწვანებული ველ-მინდვრები, ათას ფერად აფერადებული სხვა და სხვა ყვავილ-მცენარებით, სადაც ნაზად უბერავდა გაზაფხულის ცელქი სიო, ადამიანის დამწუხრებულ გულს რაღაც შვებას ანიჭებდა. ლაჟვარდოვან ცაზე მოკისკასე თეთრი თხელი ღრუბლებიდან ნაზად ჰფენდა მზე არემარეს თავის მადლიან სხივებს. წყნარი იყო და ადამიანის მომჯადოებელი თვით ბუნება, მაგრამ ჰღელავდა კაცობრიობა. გამძვინარებულ ბუნების სტიქიონის დრ-ს ვით ადამიანნი გაინაშვიან და გოცებულნი შესცქერიან ულმობელ სტიქიონს, აგრედვე ახლა თვით ბუნებაც თითქო მისცემოდა განცვიფრებას და უნდოდა გმოცნობა იმ მიზეზებისა, რომელსაგანაც ახლა კაცობრიობა სტიქიურად ერთმანეთს ანადგურებდა და კაცთა შორის ძმობა-ერთობის და თანასწორობის ნაცვლ სიმხეცე გამეფებულიყო. აგერ ტყის პირას მორაჟრაჟე ცივი ნაკადული, სადაც დასასვენებლად და წყლის დასალევათ მრავლად დამსხდარიყვნენ ლტოლვილნი: ქალ-ნი და კაცნი მოხუცნი და ახალგაზრდანი, ძუძუ მწოვარ ბავშვებით. რამდენადაც ადამიანის მომხიბვლელი იყო ბუნების სილამაზე, იმდენად გულის მომკვლელი ის სურათი, რომელსაც ლტოლვილნი წარმოადგენდნენ, შეუძლებელია იმის აღწერა: ზოგს ქმარი დაჰკარგოდა, ზოგს ცოლი, ზოგს შვილი, დედა, მამ-, ძმა-ი და ეს შინაგანი მათი სულის განცდა, ნაღველი, აღბეჭდილი მათ სახეზე; მათი მწუხარება თვით ცამდე სწვდებოდა. შიშველი ტიტველნი და მშიერნი სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ. ცხოვრების უკულმართობაზე ზოგნი რას ამბობდნენ ზოგნი რას, მაგრამ ერთი კი საერთო აზრი ტრიალდება მათში: ყველა გრძნობდა ამას, რომ ისინი იყვნენ სხვების საკუთრება, რომელთა წყალობითაც ეს უბედურება დაატყდათ თავს და, რასაკვირველია, ისინი ასეთ მტარვალებს ზიზღით იხსენიებდენ და თავიანთ გაჩენის დღეს მწყევლიდნენ

ცოტა დასვენების შემდეგ ისინი კვლავ გაუდგნენ სა შვ-ლობო გზას, მხოლოდ ერთმა დედაბერმა ველარ შესძლო სიარული, სიმშილის გამო, იქვე დარჩა და-ღონე მიხდილი ნაკადულის მოშორებით წამოწვა. აი ბუზი, რომელიც მისი წინ ცელქათ დჰფრენს და დედაბერს ხან სად დააჯდება ხან სად. საკოდავი დედაბერი მას შურ-ს თვალით გადაჰხედავს და ღონე-მიხდილი თავის გულ-ში იძახის:

,,ოხ, ნეტავ ნენ, ბუზო, დაჰფრენ თავისუფლად და სტკბები ბუნების წიაღში, მე კი უბედური რათ გავჩნდ-ამ ქვეყნად, თუ ასე მწარე ცანჯვით გავლილი ჩემი სიცოცხლის დღეებს?..

ვარლამ ჩლაიძე.

წერილი

,,დანებეთ?!.

სწერდა გიორგის მარუსა:

დანებეთ, მერე ასე და ასე შეუმჩნევლად, ასე ურც ხვად?.. მერე და რადა შეინარჩუნეთ?..

ეგ ხომ თვალების დათხრაა..

ახ, ნეტა არ მქნახა! ნეტავ, არ გამოვეოდი.. აი, ეკლესიიდგან სადგურზე რო წავედით:

მამაშენმა, ის კი არ არის, არც-კი გამოგვაცილა, გაბრაზდა; ჩემმა ძმობელმა რატომ რუსულად აღსრულებინა მდგდელს ჩვენი ქორწინების წესი...

არა, შენც კი იყავი გაბუტული, მაგრამ...

გახსოვს, მარტონი გიყავით კუპეში, დიდის რიურაკმა გამოგვარკვია, შენ თვნკარა გაიღე, მე გაეიხედე და, დმერთო, სიძოთხეში ეიგრძენი; თვალწინ გარდაიშალა:

ამწვანებული და აყვავებული მიდამო. მერე და იმის შემდეგ, რომ თბილისში ჯერედ ბალახიც არ იყო; თვალგაუწვდენელი შავი ზღვა, რომელიც ირხეოდა და თავის ხმაურობით რადაცა უცნაურობას გვამცნეგდა. აგერ, შორს რადაც შავი წერტილი მოჩანს, თანდათან იზრდება... მაგრამ ეს ხომ ადამიანის ჩაშვებული გემია, რაიც დამაგიწყა წითლად გაშექებულმა ზღვის ბირმა... ამოტურდა, ასე მეგონა ზღვამ წარმოშვაო, ამოანათა მზემ და დაანთინა ზოდებათ სხივები, რომლებსაც ზღვა ლტოლვით აფერადებდა, თითქო ანებიერებსო, მით კეკლუცობს, ხარობსო..

სადამოს, როგორც დამბირდი, ბათუმიდგან ნავით მოგვდით თამარის ცეხესთან და, როს ნაპირას კადაგვდით, აუწერელი სიამოვნება გიგრძენი...

—სამოთხეა, სამოთხე!-წამოგიძახე და ავცახცახდი.

—დიახაც სამოთხეა და მერე შენთან...-შენ მითხარ, მიმიზიდე, მიმიკარ თვალების კოცნით.—თვალია, თვალი საქართველოისა..

საქართველოსი?! საქართველოსი-კი არა ჩვენია, რუსეთისა, რომელმაც გიხსნით! უძველელ რუსეთისა...

—არა, იყო საქართველოსი, და იქნება საქართველოსი...

შენ მეუბნებოდი, როცა-კი ამაზე ჩამოგარდებოდა ლაპარაკი; რაზედაც ვალოდასთანაც ლაპარაკი მოგდიოდა...

მაგრამ, ხომ ხედავ, უჩვენოთ ბათუმიც, თვით თვალი თქვენი საქართველოისა ვერა, ვერ შეინარჩუნეთ! ვერც შენ რჩუნებდით..

თუმცა ხანდისხან შეც ვირეგოდი თქვენს ბაქიობაში... ეეაგეთ ერთხელ! ეს ხომ ძველად იყვნენ, თუ-ცა ისინიც რუსებს ეხვეწებოდნენ...

ვალოდა ამბობს: ეხლაც ეგ დაემარებათო..-ჩვენი რუსები მიდიან; ან და რაუნდათ, აი, ეხლა-კი თქვენი საქართველოში...

ვალოდია, ამ შემთხვევით მადლიერია, რომ მე დამიყოლია, დამინებია...

ვალოდია, შენი ნაამხანაგარი, მიდის თავისუფალ საქართველოდანა...

მეც მიეგვები.—მარუსა.“

ს. ბლახაშვილი.

დღეს სხივეულსან გაზაფხულზე

დღეს სხივოსან გაზაფხულზე სუნთქვა ტურფა ყვავილთ დიოა,
გინდალ წამთა ბრიალსანება მზის ციმციმი ირეკ და.
ცის შავ დრუბელთ ნარჩენებსა შთის ნიავი ეუკეკ.
და სიცოცხლის სახეს ცდებს ოვით სიკვდილის ქანდაკება.
და არწივიც დაისრული ფიწალზე რომ დაფოფოხავდა,
უკანასკნელ სიასლის წვეთი მწვანე მდელოს უხვნდ რწყავდა,—
დღეს ბრიალობით კანიკურნა, კაისწორა ძძლავრი ფერთები,
კვლავ თამამად ინასულა საეგარელი ცივი მთები...
რა მეინვარის თეირი თოვდი მიეკარა მებრძოლ გულზე,
კვლავ დაჭეოდა ჩვეულებრივ თავისუფალ გაზაფხულზე...

შეიცვალა ფიქრი ჩემი. შემეცვალა ლექსთა კილო;
დღეს სიმღერა ადარ არის შვების ჟამზე სათაკილო.
მოგიწმინდე თვალზე ცრემლი, სევდა ლხენად შეეცვალე
და სხივოსან ტკბილ გაზაფხულს ეოფნის კინტლა ვანაცვალე.
და ამაღლდი ჰეი, გულო! · მტერმა ადარ გადაგძალოს,
ძირს დაამხე ვინც რომ ლხენა წაგართვას და აგიკრძალოს!
და დღეს როცა მტარვალთ ბინა ცეცხლის გორგლით დაიროშა,
ზე ასწიე, შენ თამამად გამარჯვების სიასლის დროშა!
გაიხარე!.. მოწამე ხარ დღეს სხვა ფერად წამებისა:
დაჩაგრულთა ნეტარების და ნეტარება წამებისა!

მიქელ დიანელი

ლეო კერესელიძე
ჟენევის უნივერსიტეტის პრივატდოცენტი, პოლკოვნიკი. ბერლინში რეფერატებს კითხულობდა საქართველოს შესახებ. დასწერა და ფრანსუზულად გამოსცა საქართველოს შემახებ წიგნები, აგრეთვე დასწერა სახედრო საქმეზე, რაიც გერმანეთ მოეწონათ. ქართული ჯარები შეადგინა გერმანია-ოსმალეთში.

ტრიოლეტები ალბულახში

აქ ჩემს გარეშემო დალვრემილა ტყე ტანშიშველი,
ნისლის ლეჩაქით დაბურულა აქ კარმიდამო,
აქ სულ ნორჩ ტოტებს დილით ამტვრევს ფეხწვრილი შველი,
აქ ჩემს გარშემო დალვრემილა ტყე ტანშიშველი.
აქ მარტოობით ჩემი სული მინდა ვაწამო.
დაჭრილ სამშობლოს, მე უძლური, რითი უშველი!..
აქ ჩემს გარშემო დალვრემილა ტყე ტანშიშველი,
ნისლის ლეჩაქით დაბურულა აქ კარმიდამო...

ჩემი სამშობლო, გათელილი მტარვალთა კვერთხით,
კვლავ იკრებს ძალებს, ფრთებ შეჭრილი, გულდასერილი,
თავისუფლების მოტრფიალე აღსდგება მკვდრეთით
ჩემი სამშობლო გათელილი მტარვალთა კვერთხით!..
და მეზობელთა გულალობით მუდამ დევნილი,
არვის იმონებს, და არავის ეგება ფერხთით,
ჩემი სამშობლო გათელილი მტარვალთა კვერთხით,
კვლავ იკრებს ძალებს ფრთებ შეჭრილი, გულდასერილი.

სატრფოვ სნეულო, შენი სახე თურმე დამდნარა,
და მუქ თვალებში გაყინულა აზრი გრძნეული;
მე კი აქ მწყალობს გაზაფხულის სუნთქვა ნარნარა,
სატრფოვ სნეულო! შენი სახე თურმე დამდნარა..,
და თუმც დაგშორდი ღელავს, ბოდავს ლურჯი რვეული,
უძილო ღამით, შენზე ფიქრით ფიქრი დამწვარა,
სატრფოვ სნეულო! შენი სახე თურმე დამდნარა,
და მუქ თვალებში გაყინულა აზრი გრძნეული

მარიჯან

ნესტორ მალალაშვილი
პოდპ, გერმანიაში ქართული ლეგიონის ერთი შემდგენელთაგანი, საქარ. განთავისუფლების კომიტეტის წევ.

გიორგი კერესელიძე
გერმანიაში „ქართული გაზეთის“ რედ.-გამ. ქართველ ტყვეთა საქმის გამგე, საქარ. განთავ. კომიტ. წევრი

სოლომონ ვადაჭკორია
ასოთამწყობი, ძველი მთავრობისგან პოლიტიკ. დასჯილი, † გერმანიაში „ქართული გაზეთის“ ტეხნ. მომწყ.

გვარდიელი კანდელაკი
ბორჩალოს ბრძოლაში დაღუპული.



გიორგი ვალ. პლეხანოვი (18 —1918)
რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის დამაარსებელ მამამთავარი, სამშობლოდან დევნილი, ნიჭიერი მწერალი, მრავალმხრივ განვითარებული, მარქსის მოძღვრების საუკეთესო მცოდნე-გამავრცელებელი, რუსეთის მუშათა ხელმძღვანელი.
გარდაიცვალა ივნისში 1918 წ.

ეკვდრეთით აღდგომა

სოფლიგის ჩურჩულს ჩაექსოვა ბედის სიმი სრბოლა,
ლელვით გაღვივდა ტეტხლოვანი მომავლის ბრძოლა,
შკვბით დაირხა ცის თარგანა, ეოთნის ფოთლები,-
და მოეფინა მთის ყვავილებს ბრძოლის მძივები!..
და აჩუხჩუხდა სიმედო წყარო სიცოცხლის,
შეკრთა ბუჩქნარი და აენთო ტალღა იმედის,
და ცივ უფსკრულში, მიწის თვალში გასჭედა შვება,
გული გაუდო განწირულებს, ამცნო დღის გზნება ..
და აღსდგა იგი, აღსდგა ქვეყანად ჭეშმარიტება,
დაეშო შური, მტრობა სისხლის და ბოროტება,
და აალმასდა სიკვდილის ველზე ცისკრის ელვა,
და შორს გაისმა ძალე სიმღერა, ძმათა ძახილი...
და მისარიან, რომ სამშობლო ჩვენიც აღსდგება,
ტრემლებს მოიწმენდს და მზის თვალხულს შეუერთდება
მომიდოცნია ჩემო მთელო, მშობლიურ მხარეგ,
ნუ მოგწყენია, გაიხარე ჩაგრულთა არეგ ..
და სხივი მოსჩანს, ცეკვს, ორთოლავს, მეალეგრსება
მოსჩანს ციების ალთქმის მხარე და ტალღა თვრება,-
დღეს აღდგომაა სქართველოს დიდ ჭირნახულის,
დღეს მზე ზეიმობს, შუქი კრთება მწველ გაზაფხულის.

ს ტაიფუნი

მიხეილ კ. ვსაძე
ქართულ ეროვნულ გუნდის ლოტბარი,— მისი კონცერტების გამართვის გამო.

*
* *

თავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა,
უკამურობა წარსულში ჰქრება
და მტერი ერსა, წ ბორკილ აყრილს,
ამაოდ უტევს და ემუქრება;
გმირმა ხან ძლიერი ძლიერ დასტოვა,
ქართველის ერის დროშა ჰფრიალებს
და აწ სამშობლოს ტურფა მინდორ-ველს
მტრის ფეხ ვეღარ გაატიალებს!..

ა. ახნაზაროვი

ქორწილი

ალეგორია სამ სანახაობად.

გაგრძელება, იხ. „თ და ცხ." № 9.

(ჭიანური შესწედება კარგად მოისმის:)

ვაშა, ვაშ, გენაცვალე,
ჯან! აფერუმ! გამოსცალე!
(მოისმის სიმღერა)

ადამას. (შორიდან)
მზეო, მზეო გადმომხედე,
ღრუბელს ნულარ ეფარები,
შენ ხარ ჩემი სიცოცხლისა
დასაბამი და კარები,
შენით ვსუნთქავ, ძალთ ვიკრეფ
უშენოდ მკვდარს ვედარებავ!

(ციცანზე მეფეები კარგად იუურებიან, ნათელა ჯახარებული გამოჩნდება სტუმარი შორის და მომღერდისკენ გაიუურება)

კნ. სიდონ (გაკვირვებული)
მოდის ალმასხან გახარებული,
ვითარც მხედარი გამარჯვებული;
ნეტავი ბედმა რით გაუცინა,
რო მოყელყელობს ბოტივით წინა
(ხმა კარგად) ვინც მოვიდა გაუმარჯოს.
ღმერთმა ხელი წარუმართოს!

ადმას. (შემოდის ულვაშანი კოტეგებული, ნათელა გახარებულია)
გამარჯობათ აქ მბრძანებელთ,
გამარჯვებით გეახლებით;
ძლივს ჩემს ოჯახს დავემკვიდრე,
აღარავის გერიდებით!

კნ. სიდონ. როგორ ოჯახს?

ტიტ. სიდონ, სადა?

ადმას. სულ სხვა ძალა დაიბადა
ამ ოჯახში დღეიდანა,
რომ გაგიხდეთ ყველას გზადა.

სიდონ. პირდაპირ სთქვი, რას გვალოდებ?

ტიტ. ნეტავ ერთი რას აბოდებ
ნაციხარო, ციმბირელო,
დაუდეგომელ-საკიცხველო!

ადმასხან. შენი სიტყვა, ენიაზ ტიტო,
რაც გინდ თვალი დამაკეიტო,
სრულებით არ გამჯავრებს,
და უფრორე გამახარებს...
გახსოვს, ერთ ხელ თავში ჩამკარ;
თხოულობთ შენ კარის-კარ.
ვინა ხარო? გლეხის შვილი,
უსწავლელი არა წრთვნილი,
არც ქონების პატრონიო,—
რომა გყავდეს გამგონიო!
შენმა სიტყვამ გამაოხიზლა,
ზე ამწია არ ჩამწიხლა,
შენთან არ მაქვს საჩხუბარი,
და არცა მსურს საუბარი!

ნათელა კიბეზე ჩამოარბენს. ადმასხან მიაშურებს. ისაგებებლად.

აჰა, ჩემო სულის სწორო,
დროა, თვალი გამისწორო!
ვაჭრობაში გავიმარჯვე,
ფულიც დროზე მოვიმარჯვე,
და მამული შენეული,
დამრჩა როგორც მამეული.
აჰა, მისი დამტკიცება,
შენ მოგართვი ვით დიდება
შენი ჩემდა სიყვარულის—,
დრო დაგიდგა სიხარულის...

კიდესტემს ძამუდის ნასეიდობას.

არამი. (ოომელიც საერთო ხმაურობით ციცანზე კამოჩნდება, შეშფოთებული)
დავიბანე ნუ თუ ხელი?

სიდონ. გამომეჭრა ნუ თუ ყელი?!

ნათელა მოგელოდა დღემდე თვალი,
გამიბრწყინე მომავალი,
ჩავაქსოვოთ სულსა ხელი,
რომ ვაშუქოთ სიყვარული!..

ხელს გაუწვდის. ადმასხანი მკერდს მიიკრავს.

ნიკოდ. როგორ ჩემი მოთმინება
ჩემივ მახე შეიქნება?!
კმარა ესდენ ხუმრობანი,—
უკუდგომა, დათმობანი.
ნათელ-ქალი ჩემი არი,
მისთვისა ვარ გადამკვდარი!
თუმცა, გლეხო, არ გცნობ ტოლად,
მაინც გიწვევ ხეილში ბრძოლად!
ვისაც ბედმა გაუღიმოს,
ქალიც იმან მიიკუთვნოს!..

ადმასხან ახედ-დახედავს.

მოკვდეს შენი ალმასხანი,
თუ დაკარგოს დრო და ხანი!

ტიტ. ქერქში ჩადექ მოთრეულო,
გაგვეცალე შე წყეულო!
სიდონ. ვაჰმე, ოჯახს შემიპილწვენ,
ნათელა. ვაჰმე სისხლსა დაანთხევენ!
ნიკოდ. ხმალში, ხმალში დედაბერო,
ხმალი გულში დაგაძგერო!
ალმასხან (გაბოხტება ხმალ და ხმალ)
ნუ თუ ჩემი ბედის წერა,
მოკლე ხნობით დაიწერა?!
მოდი, მოდი აბარგულო,
სხვითგან სხვაგან დაკარგულო!
ხმალ და ხმალ შეიტაკებიან. ნიკო მოუქნევს ალმასხან მარჯვედ და ცქვიტად აიცდენს და მძლავრად მახეში ჩასცემს. ნიკო შეტორტმანდება და წაიქცევა-
რუს გენ. ვაჰმე, შვილო, დაღუპულო,
ვაჰ, სიცოცხლევ დანაცრულო!
ნიკოდოზი (მომაკვდავის ხმით.)
დაგრჩა ძმაო, გამარჯვება!
არამი (თავისთვის.)
აქ არს ჩემიც დამარცხება!..
(ნიკოდოზს ხელით გაიტანენ.)
ჰმ, სასწორი გადიხარა,
მეც არა მაქვს მეტი ჩარა,—
ვისაც დარჩა გამარჯვება,
ჩემი გულიც მას აჰყვება!
(ალმასხანს.)
ალმასხანს გაუმარჯოს,
ღმერთმა ხელი წაუმართოს!
შენგან გვფერობს ჰკუის სწავლა,
ქვეყანაში კაცად გავლი!
ტიტიკო (ალმასხანს, რომ ამოტრიალდება.)
კაციც შენ ხარ, ძმისა სწორო,
ვინძლო წელი გამისწორო!
ტაში-ტუში საზანდარო,
აწ კვლავ უნდა გავიხარო!
მოისმის ტუში.
არამი (ბადდადით ხმალს უწმენდს ალმასხანს.
ვენაცვლე შენს მარჯვენასა,
შენს ბიჭობა გაჩენასა,
დიდი ხნისა ჩვენი ძმობა,
განა ღვთისგან დაიმხობა?
თუ მიკადრებ მეჯვარეთა,
გეყოლები მოყვარეთა!
ალმასხან (ნათელას მკლავს კუკრის)
ხვალ ქორწილში ყველას ველი,
ლხინი გვმართებს სასურველი!
ყველა ერთად: გაუმარჯოს ალმასხანსა,
მის მარჯვენას, ენას, ჯანსა...
სიმღერით მიჰყვებიან. საზანდარი ტუშს უკრავს.
ფარდა.

იოსებ იმედაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შალვა ნესტორისძე ელიავა.

წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი, შტაბს-კაპიტანი. ახალ თონში,, ბოლშევიკთა ''ბრბოსთან შეტაკებას დროს მამაცურათ დაღუპული.

გურიის დედა-ქალაქ ოზურგეთის მცხოვრები იყო, ღარიბისა და მშრომელ ოჯახის შვილი. ფრიადნიჭიერი და იშვიათი ხასიათის, ყველასთვის საყვარული ყმაწვილი ჯერ კიდევ 19 წლის გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ. საქალაქო სასწავლებლის დასრულებისას მოხალისეთ ჩაეწერა რუსეთის ჯარში- და რაინდობით აღსავსე მეომარმა ორი წლის განმავლობაში დაჰყო-ოსმალეთის, გერმანიის, ავსტრიის და რუმინე-თის ფრონტზე. მონაწილეობა მიიღო მთავარ შეტაკებებში და პრაპორჩიკის ჩინიდან ჯვრებითა და სხვა ჯილდოებით აღჭურვილი ჰშტაბს—კაპიტნათ გახდა იშვიათი მამაცობისათვის!. მისმა სამშობლომ რომ ქართველ მხედართ მოუწოდა, აქეთ გამოექანა და განუწყვეტელ მუშაობას ეწეოდა ჩვენს ჯარებში. უკანასკნელი ითვლებოდა მესამე ქართველ მსროლელთა პოლკში და მეოთხე როტას ხელმძღვანელობდა. მონაწილეობა მიიღო სამეგრელოში ბოლშეიკთა მიერ შექმნილ აჯანყებათ დაცხრომაში. ამ ბოლო დროს იშვიათი გამბრიახობისთვის, მამაცობისთვის და საკვირველი ხასიათის გამო, ფოთის წითელგვარდიამ იგი თავის ხელშძღვანელად აირჩია; მან დარიგებით დატოვა თავიანი პოლკი და 200 მეომრით ახალ-ათონიდან 1000-მდე გახულიგნებული. ბრბო გარეკა; გათამამებული დაედევნა ამ ბრბოს, რომელსაც ძალა მოეკრიფა და მთაში ხელ და ხელ გაჩაღებულ ომში იგი განგმირული დაეცა 19 ამათვეს, ჯერ კიდევ 22 წლის ვაჟკაცი. მისი დაღუპვით ოჯახმა დაღუპა იშვიათი წვერი ამხანაგების საყვარელი ადამიანი და სამშობლომ-კი თავდადებული და შეგნებული შვილი. მისი ხსოვნა არ დაიკარგება!

ახლობელი

აღსრულდა!

აღსრულდა ნატვრა დიდიხნის, გული ნეტარობს ლხენითა;
მწარედ ვიგონებ მწარ წარსულს, გულის ტკენით და წყენითა,
ჩაგვრა, წამება სხვისაგან, უჩვევი წყლული, იარა,
ვინ მოსთვლის ჩემმა სამშობლომ რა ტანჯვა გამოიარა!
მაგრამ ეხლა კი წყვდიადი, ჟამს მიაქვს კრულვა წყევითა,
და ჩემს სამშობლოს გულს იკრავს, ნათელ-მზე შ·ქთა ფენითა,
გულში ნაგუბი ღიდი ხნის, ბოლმა, ნაღველი ჰქრებიან,
და ჩემიანნი აღდგომას სიმღერით ეგებებიან!..
ახარე, ჩემო ივერო, რომ აღადგინე უფლება,
დღეიდან ჩემო საუნჯევ სხვა არვინ დაგეუფლება;
და ჰა, აღსრულდა დიდიხნის, ნატვრა, ნანატრი გულითა,
და მას მეც, ერის მგოსანი, უგალობ სიხარულითა!..

დ. ჭანჭანთელი

მხოლოდ ერთს კი

(რომანსი. ბრიუსოვის მიბაძვა)

მხოლოდ ერთს კი ვინატრებდი, ვყოფილიყავ შენთან ერთად,
სიყვარული გარდაგვექმნა მარად სათნო, უცვლელ ღმერთად.
გულის სიღრმე დამერჩდილა შენს თვალთაგან შექმნილ ღამით
ბროლის მკერდზე მოგხვევოდი, დავმტკბარიყავ ნეტარ წამით
კოცნის ცეცხლით აღგზნებულებს გულს გვი·რევდეს სუნთქვა
ხშირი,
გრძნობით მთვრალი ჩაგძახოდე: შენი ვარ და შენთვის ვტირი
სიყვარულის სამსხვერპლოზე თავი გვედოს გასაწირად
და ერთ სანთელს ვამზადებდე მისთვის მსხვერპლათ შესაწირად

ლ. ძიძიგური

ვლ. პავ. გობეჩია
(1878—1918)

ტანით პატარა, გულით დიადი, სულით მაღალი, აი რა გავიფიქრე პირველად ვ. გობეჩია რომ ვნახე.

სკოლის სკამიდანვე ხალხის სასიკეთო მუშაობაში ჩაბმული, გატაცებული პარტიული მუშაკი (სოციალისტ რევოლიუციონერი), ძველი მთავრობისგან დევნილი, ფხიზელი მოაზროვნე რევოლიუციონერი და ნიჭიერი ორგანიზატორ-მოკამათე,—აი ვ. გობეჩია.

რეაქციის ქარტეხილს—ალიხანოვ-ავარიელის სასჯელს და რუსთა მეფის ჟანდარმერიის სასტიკ დევნისგან საზღვარგარეთ გადარჩენილი ვ. გობეჩია რევოლიუციონურ რუსეთს სათავეში მოექცა: პირველად დაინიშნა მე-7-ე არმიის კომისარის თანაშემწედ, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის და ბოლოს იმავე ფრონტის კომისრად,—სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაინიშნა საოლქო სამხედრო საზღვაო კომისრად, საზღვაო მინისტრად, უკანასკნელად—საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრად და საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგად. საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ხელოვნების სექციის თავმჯდომარეობა მასვე მიენდო და ხელოვნების საქმეს სიყვარულით ეკიდებოდა.

მწერლობაში დიდხნიდანვე მონაწილეობდა და კალამიც ფხიანი ჰქონდა. მეორე სახემწიფო სათათბიროს არჩევნების დროს საკუთარი გაზ. „მეტეორი" ჰქონდა ოდესაში, სადაც საუკეთესო ძალნი შემოიკრიბა გარეშემო; დიდ მონაწილეობას იღებდა გარდახვეწილთა პრესაში გამოჩენილ პოლტიკ. მოღვაწეებთან ერთად გაზ. ,,იუგ''-ში, სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ თანამშრომლობდა რუსლ გაზ. „რესპუბლიკა''-ში და ბოლოს თითონვე აპირებდა გაზეთის გამოცემას,

მაგრამ ყველა ეს ღვაწლი რაა იმ თვისებასთაა რითაცა განსვენებული დაჯილდოებული იყო: იგი რ ნ ვდენათაც ინტერნაციონალისტი იყო, იმდეინად თავის ერის ერთგული შვილი, მეტად სათნო ადამიანი, მომზადებული, საალმშენებლო უნარით აღჭურვილი და დიდის იმედების მომცემი...

და ეს ფრიად სასარგებლო კაცი რომელიც ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, ვინ უწყის, რაოდენ სიკეთეს მოუტანდა, მხეცურად მოჰკლა ·ვოლვე·ის სამის ტყვიით ვინმე წულუკიძემ ივნისის 1·, მოჰკლა დანდობილა დედასთან მუსაიფში გართული...

და იმდენი სულდიდობა გამოიჩინა განსვენებულმა, რომ ამხანაგთ დაავალა ჩემს მკვლელს ხელს ნუ ახლებთ. ოჰ რა საზარელია ასეთი ამბავი. და ნუთუ თავის უფალი რესპუბლიკანური საქართველო ვერ შესძლებს ასეთ სენისაგან განკურნებას...

ძვირფასო ვალოდია! მოკლე ხნისა იყო ჩვენი ნაცნობობა, მაგრამ გაუქრობელი ლამპარი აღანთე ჩემს გულში, როგორც ჩვენის სამშობლოს თავისუფლების ერთმა მერცხალთაგანმა. ნუმც დასჰკნება ხსენება შენი.

იოსებ არიმათიელი

* * *

ვერ ხედავ?!.. თვალნი აპყარი,
ზე აღზდგა, მონა საპყარი.
არ გესმის?!.. ყურთ მიე სმენა
მტარვალი აწ მიესვენა.
დრო დადგა და შენც აუშვი
ცხოვრების ზღვაში ჩაეშვი.

ერეკლე ყანჩელი.

ნინო ილიას-ასული ხარაძე.

მოწყალების და, ჯანღონით სავსე ახალგაზდა 24 წლის ქალი, მოყვარული თავის სამშობლოსი და ეგრედ გატაცებული მოყვარული თავის ქვეყნისა უშიშრად და გულადათ ჰხვდებოდა ყოველივე განსაცდელს, რასაც ემსხვერპლა ქ. ბათუმში 29 ქრისტეშ. 1917 წ.

წერილი ხელოვნებაზე

საზამთრო სეზონის დამთავრების შემდეგ ქართული წარმოდგენები ხშირად იდგმება ქართულ კლუბის სცენაზე. რეპერტუარი არა ჩვეულებრივ- ორგინალურია: ღალატი, სამშობლო, ქეთევან წამებული, დიდი მოურავი, მედეა და სხვა.

ასრულება—კრიტიკის გარეშე.

უგულოდ როლების შესრულება, სტატისტების ჩონჩხებივით სიარული სცენაზე, სცენის კარებიდან უცხო მაყურებლების ჭყეტა... სრული ილუზია იკარგება.

რეჟისორის ხელი სრულიად არა სჩანს.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული წარმოდგენები ასე უფერულად არასოდეს არ იდგმებოდა როგორც ამ აღორძინების ხანაში.

ჩვენმა მსახიობებმა ანტრეპრენიორობას რო მოკიდეს ხელი, ტეხნიკურს მხარის შესრულებისთვისაც უნდა მიექციათ ყურადღება.

თუ პიესების ავტორნი არ ებრალებათ. მაყურებლები მაინც შეიბრალონ.

ჯობს თვეში ოთხჯერ ვნახოთ ქართული პიესა რიგზე შესრულებული, ვიდრე კვირაში სამჯერ და ისიც ყოვლად უვარგისად...

მართალია ჩვენს მსახიობთ, გარდა სამი ოთხი პირის ტეხნიკა არა აქვთ შესწავლილი, მაგრამ ბუნებრივი ნიჭს მოკლებულნი არ არიან.

კარგი რეჟისორი ყოველთვის შეიტანს წესრიგს ალ. წუწუნავას და ვალიკო შალიკაშვილის რეჟისორობის დროს ჩვენ თეატრიდან უკმაყოფილონი არ წამოვსულვართ.

საჭიროა საჩქაროდ მოისპოს ზემოხსენებული სამწუხარო მოვლენა, თორემ დაგვიბრუნდება ის შავი დრო, როდესაც ქართველ კაცისათვის ქუდი რომ შაგეგდო ქართულს თეატრში, მაინც არ შევიდოდა.

1917 წელს ენკენისთვეში დაფუძნდა ქართველ მომღერალ მუსიკოსთა კავშირი.

მისი უმთავრესი მიზანია ეროვნულ ჰანგების აღორძინება: ქართულ ორიგინალური ოპერების დადგმა, სიმღერა-გალობის სასურველ დონეზე დაყენება, ლოტბარების დამზადება და სხვა.

ამ კავშირის გარშემო მოიკრიბნენ ყველა ქართველი სპეციალისტი-მუსიკოსნი.

ვიდრე კავშირი დაარსდებოდა, ჩვენი სამუსიკო ხელოვნების შესწავლა, როგორც მშობლიურ ენის, თ თქმის სირცხვილად მიაჩნდათ

ეხლა კი... ვინ არ გინდა, სულო და გულო, რომ არ ლოტბარობდეს: საცა არ გაიხედავ, ყველა ამზადებს ,,ეროვნულ გუნდებს'', დამახინჯებულ ჰანგებზე. შედით, მაგალითად, ჩვენს განთავისუფლებულ ეკლესიაში. მგალობელთა ბლავილი გულს უღონებს მორწმუნე კაცს. და ეკლესიის გარეშე ამ ჯობინებს ლოცვას, ვიდრე მეორედ შიგ შესვლასა.

და ნამდვილ საეკლესიო ლოტბართ: ნ. სულხანიშვილს მ. ნაკაშიძეს და სხ. თოფის გასროლის მანძილზე არ უშვებენ ეკლესიაში და იწვევენ ლოტბარად უვიც პირებს.

აუცილებლივ საჭიროა, კავშირის სპეციალისტთა კომისიამ დაამოწმოს ცოდნა სალოტბაროდ მსურველისა და მისცეს მას შესაფერი მოწმობა. უამისოთ არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება ლოტბარობისა.

ამითი აღიკვეთებიან ის ცრუ ლოტბარნი, რომელთაც უფრო ნივთიერი მხარე აინტერესებსთ და სამშობლო ხელოვნებას ღვთის სამსახურს უწევენ.

ს. წერეთელი.

ერი ეკპური

კომოთუკა (ამხანაგების) პორფირიკა! რა ქენი ცომი მოცომე?

ბორფ. შე კაცო! რა ხანია მოვცომე და ჩავაკარ კიდეც; ახლა ამოკვრას ქე ვლამოფ!

კომოთ. რა ვუყოთ კაცო! ე ქფვილმა რომ კიდევ ეიწაა.

ბორფ. რავა არ ეიწევს!

კომოთ. ე რაღ ცა ბალშენიკებია თა მაშენიკები, ქბილს აღარ უშობენ აქეთკენო!

ბორფ. მაინც რა ქენი, შეაგულე სადმე?

კომოთ. შეგულებთ ქე შევაგულე.., მარა ოცდა ექვს თუმანს ფეხი არ მოუცვალეს.. აგერ ქონია ერთს შენახული ოცი მეშოკა.. მარა რა უნდა ქნა, კაცო, ე კვდარ ძაღლი აგენტები არ გიშობენ რო გაყიდო.

ბორფ. რავა არ მიშობენ! შენ რაღას უნობ კაცო! ალია და მუსია, ამ გამომცხვარ პურით ვაჭრობს. ვერ უყურებ ამ კრახმალიან ბაზაზებს და ჩინონიკებს, ყველა ქე ყიდის ამ გამომცხვარ პურს. არ გამოვა ერთი ჩეთვერი ნ მან. ყიდიან. ჩვენ ხომ მეპურეები ვართ. აპა რა ეშმაკი უყოთ, ხო ვერ ვიქურდებთ?

კომოთ. რავა ბოკშივით ლაპარაკობ! ვინ დაგიდევს, შიერი მოკვდები თუ არა? გეუბნებიან შენ ტაქციაზე უნდა გაყიდოო!

ბორფ. მეუბნებიან და.. ვეც ერთ კრახალუკას ვიშოვნი, ევიჩრი ერთ კალათას და დევწყობ ქუჩა ქუჩა სიარულს. ვეტყვი: მეპურე არა ვარ მეთქი. მორჩა და გათავდა

კომოთ. (სიცილით) აპა, შენ იქნები კარტანცკი! ერთ ციალინდარსაც მე გიშოვნი სადმე და გეიჩარხება საქმე.

ბორფ. შენ გეიცინე და ნახავ, თუ მაგრე არ მევიქცევი. ბეჩა! აპა, რას იზამ! მეპურეებს გვეუბნებიან: ტაქციაზედ გაყიდეთ, თვარა ჩაგბრატაკოლებთო. სხვამ ქე ყიდოს არა უშავსო. სირაჯებს ეუბნებიან: ღვინით ვაჭრობა არ შეიძლებაო და ისე ვინ არ გინდა ჭყიდის. ბაზაზები ფართლეულობის მაგივრად შაბიამანს და ლობიას ჭყიანენ. ასე ვთქვათ, რომ თავის სპეციალობაზე დღეს აღარავინ არ არის. აგერ იმ დღეს გაზეთს კითხულობდენ სადღაც რუსეთის ქალაქში, მებაღე მინისტრი გამხდარაო. აი, დიდება შენთვის გამჩენო (ბორჯვარს იწერს) რა დროებას შევესწარით..

კომოთ. მინისტრობა კი არა და!.. მე რომ ხოგიერთ კამისრებს ვიცნობ, ვინ შერცხვენილი იმათზე უკეთესი მე არ ვიყო.. მარა ეჰ თავი დავანებოთ ამ ყბედობას. წადი ერთი ეშოკა რამენაირად მოიტანე. მეც პურს ამოვყრი.

კომოთ. (ფულს აღებს დახლიდან) ვაი ღედა ჩემო! ერთი მეშოკა 900 მან. (შემოიკრავს თავში ხელს და გადის)

სანდრო ბაქრაძე

საყურადღებო მოვლენა

(ჟორჟოლიანის ლექციის გამო)

ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ერთ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან მოვლენას აქვს ალაგი, რომელიც ჯერ არცერთ ორგანოს არ აღუნიშნავს. ეს არის მუშათა კულტურულ ცხოვრებაში ახალი სხივის შეშუქება, ახალი შეგნების ზიარება. როგორც ეტყობა მთავრობის პარტიას გადაუწყვეტია მასსაში შეიტანოს ეროვნული თვითგამორკვევა, ეროვნული შეგნება. ამ მიზნისთვის სოციალურ ხასიათის ლექციების გარდა მას მოუწყვია ეროვნული ხასიათის ლექციებიც. ეს მოვლენა ფრიად სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს ყოველ ქართველისთვის. ჩვენ დიდი ხანია ამას ვნატრობდით და შეძლების დაგვარად, ყოველ გზა ჯვარედინზე ვქადაგებდით; ამხანაგებისაგან ბევრი უსიამოვნებაც დავიმსახურეთ მათი შეუგნებლობით, მაგრამ აი ცხოვრება თავის სინამდვილეს ანხორციელებს და ჩქარა ურწმუნოთ მორწმუნეად გადააქცევს. მაშ გაუმარჯოს ერის პარტიას, გაუმარჯოს მის ახალ გზას!..

—

ივნისის 17 ნაძალადევის თეატრში ამხ. ჟორჟოლიანმა წაიკითხა ლექცია ქართულ მწერლების შესახებ. პირველი ლექცია მან უძღვნა ვაჟა-ფშაველას. მწერალი აღიარა სახალხო მგოსნათ და შემოქმედ ხელოვანად. დასაწყისს სამწუხაროდ ვერ დავესწარი, ამიტომ შინაარსს ამ წერილში ვერ აღვნიშნავ. საინტერესო იყო ლექციის დასასრულს ამხანაგების შეკითხვა, რომელიც ლექტორმა სავსებით დააკმაყოფილა. საყურადღებოდ აღმოჩნდა აგრეთვე მუშების შეხედულება ჩვენს ეროვნულ ხელოვნებაზე. მათი მსოფლმხედველობით, კლასთა საკითხის და პოლიტიკურ ეკონომიის გარეშე ყველა ნაციონალურ საკითხად არის თურმე მიჩნეული. ლექციის დასასრულ ზოგმა ისიც კი აღიარა, რომ ერი არ გვწამს და, მაშასადამე, არც მისი ხელოვნება შეგვიძლიან გვწამდესო. როდესაც აუხსნეს, რომ ჩვენ სოციალიზმი გვინდა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ეს უკანასკნელი კი ერს და ეროვნულ საკითხს ვერ უარყოფსო, მათ ცხოვრების გაუმჯობესება კუპის საკითხით განსაზღვრეს. რო

მარტო კუჭის საკითხის დაკმაყოფილება პირუტყული ცხოვრებაა და ადამიანური ცხოვრება-კი სულიერი მოთხოვნილებითაც უნდა დაკმაყოფილდეს. უკანასკნელის სალარო-კი ერის ცხოვრება და მისი პრობლემებია, ამაზე მობალშევიკე მუშებმა მოპირდაპირეს პასუხი ველარ გასცეს

მუშები განვითარებით ძალიან მოიკოჭლებენ. მათ ეროვნული საკითხი ნაციონალისტურ-შოვინისტური საკითხი ჰგონიათ და ამითი მუშათა პროგრამის ეცხრე პუნკტს თვითვე ღალატობენ. ეს კი პარტიის დისციპლინის დარღვევად უნდა ჩაითვალოს. ავიწყდებათ, რომ ჩვენ ეროვნული საკითხი ეროვნულდემოკრატულათ უნდა გვესმოდეს და არა ეროვნულ-შოვინისტურათ, ბურჟუაზიული წყობილება ბურჟუებს მუშების საექსპლატაციოდ უნდათ, მაგრამ ჩვენ კი სოციალურ ასოციაციათა განსავითარებლად გვინდა. ამისთვის ჩვენ ასეთ წყობილებას ვღიარებთ და არ უარვყოფთ. ასევე ითქმის ნაციონალურ საკითხზედ, თუ ის შოვინისტებს სხვა ერის დასაჩაგრად უნდათ, ჩვენ მის დემოკრატიულ ფარგლებში მოქცევით სულიერ დასაკმაყოფილებელ კოსტა ბრძოლის გასაღრმავებელ და განსავითარებელ საშუალებად გვინდა. ეს უკანასკნელი-კი ერთი უმთავრეს სახსართაგანია ჩვენი მიზნის მისახწევად.

მუშა მიხ. დევაძე-

მწუხრის ლეგენდა

(ძღვნად და-ძმათ ოლღა და შალვა კალანდაძეებს)

დიდხ ნს იტანჯებოდა მგოსანი მტარვალის ხელში...

მგოსანმა რომ ხალხს სამსახური დაუწყო, ამით გააჯავრა მტარვალი...

ჯურღმულში ჩააგდო და ზემოდან ჩასძახა: „შენ ერომ ტანჯვაში ჰპოვებ სიამოვნებას, მაშ დასტკბი მანდ!..“

იჯდა მგოსანი ჯურღმულში, დღეში ერთხელ მოჰქონდათ პური და წყალი, თოკით ვიწრო ხვრელში უშვებდნენ და უკანვე მიდიოდნენ...

მიდიოდენ დღენიც..

ერთ მშვენიერ დღეს გამოიარა უმშვენიერესმა ქალწულთა შორის, ცისიამ, ჩაიხედა ვიწრო ხვრელიდან ჯურღმულში...

იქ მგოსანი ნარნარი ხმით ჰგალობდა მწუხრის ლეგენდას!..

ის ლეგენდა მან შეჰქმნა ეამსა ტყვეობისასა და ეტრატის უქონლობის გამო თვის გონებაში ღრმად ჩაიბეჭდა.

ცისიამ დაუგდო ყური, დაინახა მგოსანი და შეიყვარა..

შეიყვარა ისე, როგორი სიყვარულიც კ. შეეძლო მის სპეტაკ გულს, მის მაღალ სულს.-

მწუხრის ლეგენდის ხმები მგოსნის ტანი ჯვასა ჰხატავდა..

ცისია ყურს უგდებდა სანეტარო ხმებს. ესმოდა მათი ძალა და მნიშვნელობა...

ხმა თანდათან აკანკალდა.. მიიწურა... ძლივს გასაგონად ღა ისმოდა... და ბოლოს მისწყდა...

მას შემდეგ იგი ხმა აღარ განმეორებულა.

კარგა ხანს იდგა ცისია ხვრელთან მაგრამ ხმა აღარ გაუგია...

მგოსანი გარდაცვლილიყო...

გარდაიცვალა მგოსანი, ხოლო არ გარდაცვლილა მისი ლეგენდა...

იგი არ გარდაცვლილა ისე, როგორც არ გარდაცვლილა ცისიას მისდამი სიყვარული..

მწუხრის ლეგენდა ცისიას ხსოვნაში ღრმად ჩაიბეჭდა..

და მან მოჰფინა იგი მსოფლიოს...

და მიტომ გალობს იმ ლეგენდას ყოველ საღამოს მთის ნიავი..

ალ. ნეგრელი

სიზმარი

დარდმა შეიპყრო ეს გული,
ცუდი სიზმარი ვნახეო, —
ნუ ამიცხადებ სიზმარსა,
ღმერთო, შენ შამინახეო!
ვეშაპი ვნახე პირღია,
ჯოჯოხეთს უგავ სახეო;
შავშინდი, ძლიერ შავშინდი,
გასაქცევი გზა ვნახეო.
გზა იყო ღალატიანი,
ყველგან დამიხვდა მახეო,
ან ჩამყლაპავდა ვეშაპი,
ან მ. მხვრეპლებდა მახეო,
არც ახლო მყავდა მაშველი,
ვერც ვის შორს დაუძახეო,
წამოვხტი შეშინებული,
პირჯვაოი გ. დვისახეო..
ვდარდობ: ვაჰმე თუ გაცხადდეს,
რაც მე სიზმარი ვნახეო,
ვაჰმე, თუ მოვკვდი ბოლმითა,
უდროოთ დავიმარხეო!

ბესო ოფიცერი

შალვა ვაშაძე
სოციალ-ფედერალისტების რაზმის ოფიცერი, ჭიათურელი, უგზოუკვლოდ დაიკარგა მაშნართან ოსმალებთან შეტაკებაში 10 აპრილს

სერგო გიორგისძე ნაკაიძე
მსახურებდა ქართველ ცხენოსანთ პოლკში სპარსეთშის მხარეზე, დღემდე დაკარგულ ათ ირიცხებოდა, შინ დაბრუნებულ მახთან ტყვედ ყოფლთა სიტყვით, ცხარე გრძოლაში დაჭრილმა ნაკაიძემ 12 კაცი იმსხვერპლა, იგიც მოკლეს.

მოწოდება

,,**თეატრი და ხოვრების**'' მკითხველ-მეგობარნო! ჟურნალის ბეჭდვას დიდი ხარჯი უნდა. ვისაც გული შეგტკივათ, ნივთიერი შემოწირულებით დაეხმარეთ. ყოველი კაპეიკი დიდის მადლობით მიიღება და ჟურნალის გაუმჯობესების საქმეს მოხმარდება. შემოწირულება მიიღება რედაქციაში თბილისში ბაზრის ქ. № 20

შემოწირულება ჟურ. თეატრი და ცხოვრების სასარგებლოდ:

ქართულმა კლუბმა	500 მ.
1 ვ. ნ. შერაზენიძე—	10 მ.
2. კ. გულიველი—	10 მ.
3. მ. ჭრელაშვილი—	10 მ.
4. г. Садыковъ	5 р.
5. А. П. Саксаганскій	5 р.
6. И. Н. Галетянъ	5 р.
7. И. А. Хвалисашвили	5 р.
8. В. Л. Макаревичъ	3 р.
9. М. И. Притутнева	3 р.
10. А. Асланова	3 р.
11. О. С. Шичанина	5 р.
12. И. Зайцъ	3 р.
13. М. А. Гаспарянъ	2 р.
14. Патлажанъ	1 р.
15. А. Кочорянъ	1 р.
8. ნინა ლასხიშვილი—	5 მ.
9. კ. ჩხენკელი—	5 მ.
10. ა. ნ. ავალიშვილი—	5 მ.
11. სვ. ჰ. კაკაბაძე—	5 მ.
19. მ. დ. თობაძე—	3 მ.
17. ა. ამირეჯიბი—	5 მ.
18. ბიჭიკო დარჩია—	3 მ.
19. ბ. მ. ჭრელაშვილი—	3 მ.
21. ა. არუთინოვი—	2 მ.
24. თ. ლ. ძმანაშვილი—	3 მ.
ლუკა ქოქრაშვილმა	50 მ.
ირ. ბილანიშვილმა	80 მ.
მიხ. მამულაშვილმა	50 მ.

შემომწირველთ უგულითადესს მადლობას უძღვნით სხვა შემომწირველთა სიას შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

შეცდომები პიესაში ,,ბედნიერი ქალი''; № 5, 10 გვ. ქვევიდამ 1 სტრიქ. დაბეჭდილია: ,,ბედნიერობს'', უნდა იყოს ,,კადნიერობს'', 18 სტრიქ. დაბეჭდილია ,,მოდნებს ეძებს'', უნდა იყოს: მადნებს ეძებს'', იმავ პირზე, შემდეგ რიგზე, 3 სტრიქ. დაბეჭდილია ,,ჯიურრ", უნდა იყოს; ,,ჯავრს იყრის''.

№ 6, მე 11. 16 სტრ. ქვევიდამ: დაბეჭდილია: ,,შიმშილით მოვკვდები'', უნდა იყოს: ,,შიმშილით არ მოვკვდები'', 12 გვ. ზემოდამ 5 და 6 სტრიქ. დაბეჭდილია: ,,გავიდე'', უნდა იყოს: ,,გავიდეს ირინე'' იმავ გვერდში, ქვევიდამ 13 და 14 სტრ. დაბეჭდილია ,,ვეწნააღმდეგები ტკაილ'', უნდა იყოს: ,,ვეწინააღმდეგები ტკბილ''.

№ 7, მე 11 გვ. ქვევიდამ 6-8 სტრ. დაბეჭდილია: ,,ხომ შემეძლო მეჩივლა, იმითი ფული ამედო და თქვენ გლახათ დარჩებოდით. მე-კი. ,,ეს სიტყვები სულ უნდა გამოიშვას.

ამ ნომერში მესამე გვერდზე **მოთავსებულ წერილს**, **გერმანია და საქართველო—ში მეორე** სვეტში დაბეჭდილია: სხვა ამას ხელს უშლის »უდა იყოს. **ჩვენი საეკლესიო კანონი ამს** ხელს უშლის. ცოტა ქვემოთ დაბეჭდილია: ,.თავისუფლების დაცვაზე ფიქრი მეტია'' უნდა იყოს: **თავისებურების** დაცვაზედ ფიქრი მეტია.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი დაიბეჭდა,

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**